საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 7 ივნისი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის18-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №130 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება, თანახმად დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

ბათუმის ხელოვნების საწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 7 ივნისის №5
გადაწყვეტილების დანართი

ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებო ერთეულს.
2. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონმდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ბიბლიოთეკა თავისი კომპენტენციის ფარგლებში, ანგარიშ -ვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელძღვანელის წინაშე, ასრულებდეს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ბიბლიოთეკა ასრულებს კულტურულ- საგანმანათლებლო, სამეცნიერო ინფორმაციულ ფუნქციებს, მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:
   ა) განათლებული, განვითარებული და კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბება.
   ბ) ქვეყნის ინტელექტუალური სიმდიდრის, ინფორმირებული პიროვნების პოტენციალის ზრდა
   გ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა
   დ) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი
   ე) მკითხველთა თანასწორუფლიანობა
   ვ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა
   ზ) ოპერატიულობა

   ბიბლიოთეკის ამოცანებია:
   ა) უნივერსიტეტის საინფორმაციო - საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, საუნივერსიტეტო ელექტრონული ბაზების შედგენა და საინფორმაციო ბიბლიოგრაფული ფონდების ავტომატიზაცია.

   ბ) ბიბლიოთეკის მომხმარებელთა (უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები) სწრაფი და სრული უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური , ხელნაწერი და ინფორმაციის შემცვლელი ხვა მასალები). ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის.

   გ) ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირება უნივერსიტეტის სპეციალობების, საგანმანათლებლო პროგრამების, მკითხველთა მომხმარებელთა მოთხოვნების მიხედვით.

   დ) საცნობარო- საინფორმაციო აპარატის, კატალოგების მონაცემთა ბაზების ორგანიზაცია და მართვა.

   ე) საბიბლიოთეკო მუშაობის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის, კომპიუტერიზაციის და საბიბლიოთეკო- საინფორმაციო სისტემის ფორმირების საფუძველზე.

ვ) სამეცნიერო გამოკვლევების და მეთოდური სამუშაობების ჩატარება საბიბლიოთეკო და საინფორმაციო - ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაზე.

ზ) უნივერსიტეტში შესრულებული სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების ფონდის ორგანიზება , დაცვა, შრომების ბიბლიოგრაფირება;

თ) საბიბლიოთეკო - ბიბლიოგრაფიული ცოდნის დანერგვა მომხმარებელათა შორის, კითხვის კულტურის დონის ამაღლების საქმის ორგანიზება;

ი) ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიულ დაოსტატებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;

კ) ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

ლ) ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის დაცვაზე, ბიბლიოთეკართა მატერიალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა ფონდის დაცვის ინსტრუქციის შესაბამისად;

მ) მიმდინარე და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში აქტიური მონაწილეობა

ნ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დამუშავება;

მუხლი 3 . ბიბლიოთეკის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ბიბლიოთეკა წარმოადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის გამგე (ხელმძღვანელი)

2. ბიბლიოთეკის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია; ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უფროსი ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარი

3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 5 წლის ვადით ღია კონკურსით. ამ თანამდებობაზე ინიშნება უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია უნივერსიტეტში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის დანიშვნა და განთავისუფლება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით; სტრუქტურის მიხედვით , ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი უშუალოდ ემორჩილება უნივერსიტეტის რექტორს;

4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს უფროსი ბიბლიოთეკარი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა შეთანხმებით;

<u>ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:</u>

ა) აკონტროლებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საქმიანობას.
ბ) ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომელთა შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებს, დავალებებს.

გ) წამოაყენებს წინადადებას კომისისს შექმნის თაობაზე საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხთა გადასაწყვეტად.

დ) წამოაყენებს წინადადებებს საბიბლიოთეკო- კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით,(შემოქმედებითი საღამოების მოწყობა- ორგანიზება)

ე) წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რეკომენდაციებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სწავლების, სტაჟირების, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

ვ) მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ზ) წარადგენს ბიბლიოთეკის მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს.

თ) ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ი) იწვევს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კრებას, მათთვის სამსახურეობრივი სიახლეებისა და ცვლილებებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

კ) კოორდინაციას უწევს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საქმიანობას.

ლ) იღებს მონაწილეობას საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებით ყველა პროექტებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სტაჟირებაში.

მ) გამოითხოვს ბიბლიოთეკისათვის საჭირო ფინანსებსა და მისი საქმიანობის განსახორციებლად საჭირო ყველა სხვა ინვენტარს.

მუხლი 4: საბიბლიოთეკო საბჭო

ბიბლიოთეკის ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე , შესაძლებელია შეიქმნას საბიბლიოთეკო საბჭო, რომლის საქმიანობა განისაზღვრება შესაბამისი რეგლამენტით.

მუხლი 5 . ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწორია: